ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 170

10 ივლისი
"---"-------- 2018 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ტაბიძის ქუჩა №10-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.075.015) შპს „ფუდ ენდ ბევერიჯ ჯორჯიასთვის" (ს/ნ: 405190742) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122^1 მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ტაბიძის ქუჩა №10-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.075.015) შპს „ფუდ ენდ ბევერიჯ ჯორჯიასთვის" (ს/კ 405190742) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 4 ივლისის №18.492.792 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ტაბიძის ქუჩა №10-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.075.015) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ფუდ ენდ ბევერიჯ ჯორჯიასთვის" (ს/ნ: 405190742) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 16 700 (თექვსმეტი ათას შვიდასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**